ფილოსოფიის ლიტერატურა



ქავთარაძის ცენტრი
ილია ქავთარაძის სახელობის ევროპული კვლევებისა და სამოქალაქო განათლების ცენტრი

D66 Internationaal
IDI International Democratic Initiative


SPECIAL EDITION
JIM CARREY
The Truman Show

“კინოჩვენების დღიურები” - ასე ჰქვია კრებულს, რომელიც ილია ჭავჭავაძის სახ. ევროპული კვლევებისა და სამოქალაქო განათლების ცენტრის პროექტის “ახალგაზრდები მართლმსაჯულებისთვის ზაზა ბიბილაშვილთან ერთად” ფარგლებში მომზადდა.

უკვე ორი წელია, რაც პროექტს “ახალგაზრდები მართლმსაჯულებისთვის ზაზა ბიბილაშვილთან ერთად” ჭავჭავაძის ცენტრი ჰოლანდიური D66-ისა და ფონდ IDI-ის მხარდაჭერით ახორციელებს. ამ პერიოდში, საქართველოს რეგიონებსა და სასწავლო დაწესებულებებში მოქალაქეობისა და მართლმსაჯულების თემაზე ათეულობით კინოჩვენება და დისკუსია გაიმართა. პროექტის ფარგლებში ცენტრი თანამშრომლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, კერძო და საჯარო სკოლებთან, ასევე - ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

“კინოჩვენების დღიურების” შექმნის ინიციატივა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს ნათია მიხელიძეს, მარიამ კაჭკაჭაშვილს და ეთერ მიდელაშვილს ეკუთვნით. იდეა მას მერე გაჩნდა, რაც მორიგი კინოჩვენების შემდეგ, ცენტრის უფროსი მკვლევარის და თსუ-ს პროფესორის მარიამ გერსამიას შეთავაზებით, სტუდენტებმა ფილმის “თრუმენის შოუს” სემიოტიკურ-რიტორიკული ანალიზი დაწერეს. საბოლოოდ კი, 40 ნამუშევრიდან ეს 12 ბლოგი შევარჩიეთ, რომელსაც “კინოჩვენების დღიურების” პირველ გამოცემაში წარმოგიდგენთ.

თქვენ შოუში ხართ

თამარ ბაგაური

რა მოხდება თუ ერთ დღეს გაიღვიძებთ და მიხვდებით, რომ ყველაფერი თქვენ გარშემო დადგმულია, დიახ, თქვენ შოუში ხართ. შოუში, რომელიც წლებია მხოლოდ თქვენი საშუალებით იქმნება, თუმცა თქვენ ამის შესახებ არაფერი იცით, წარმოიდგინეთ - სულ არაფერი. ასეა ფილმში "თრუმენის შოუ", სადაც მთავარმა გმირმა არ იცის, რომ სამყარო მის ირგვლივ მხოლოდ და მხოლოდ გიგანტური კინოსტუდიაა და მეტი არაფერი.

"თრუმენის შოუ" ერთ-ერთი ყველაზე კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ შემოდიან ნიშნები ჩვენს ცხოვრებაში და ხშირად, როგორ ვტყუვდებით, როცა მათ მივსდევთ. მედიასაშუალებები უმეტესად "ნიშნების" გამოყენებით გვატყუებენ და ზუსტად ჩვენი დახმარებით დგამენ იმ შოუებს, რომლებიც ყველაზე მაღალ რეიტინგს დებენ. "თრუმენის შოუში'' მაყურებელი რეალურად მომხმარებელია. ის მოიხმარს იმ ნივთებს, რასაც თრუმენი უნებლიედ უწევს რეკლამას. თრუმენი ნამდვილია. გულწრფელობა კი მაყურებლისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, მიუხედავად იმისა, რომ მთელი სამყარო თრუმენს ატყუებს. ატყუებს ყველა - მშობლები, მეგობრები, თანამშრომლები, ცოლი და, რაც მთავარია, თავად მაყურებელი. რეჟისორი, სხვა ათასობით ადამიანთან ერთად, ფსიქოლოგიურად ძალადობს მასზე. ის მარტოა მსოფლიოს წინაშე, და მსოფლიო მოიხმარს მას, როგორც შოუმენს, გასართობს.

და მაინც, რამ გახადა 30 - წლიანი შოუ ყველაზე ყურებად შოუდ?

რა თქმა უნდა, მთავარმა გმირმა, რომელსაც შოუში მოხვედრის "გმირული", თუმცა მე ვიტყოდი, შემთხვევითობის ისტორია აქვს. თრუმენი დამაჯერებელია, ის არ თამაშობს, აღვიძებს მსმენელის ემოციებს, სვამს კითხვებს, ეძებს პასუხებს, გამოთქვამს საკუთარ აზრს... თრუმენი ლოგიკურია, ყველაფერს წყვეტს, აზრებს ალაგებს. არ კითხულობს, ტექსტს არ უწერენ, არ კარნახობენ, ის ყველაფერს თავად აკეთებს. ამიტომ, ის ფაქტი, რომ მაყურებელმა შეიყვარა, მხოლოდ თრუმენის "ბრალია".

D66 Internationaal IDI International Democratic Initiative

კვერცხის ნაჭუჭი

ანანო მუსერიძე

ფილმში ზღვა თავისუფლების მთავარი სიმბოლოა. სწორედ მასშია გამოსავალი. "ტრუმენის შოუში" არაერთი სიმბოლოა გამოყენებული. მაგალითად, მთავარი გმირის კაბინეტში მბრუნავი კარი - სიცოცხლის მკაფიო სიმბოლოა. ამის შემდეგ ის გამოყენებულია გამოსავლის აღსანიშნავად, როდესაც ცნობისმოყვარე ტრუმენი აკეთებს არჩევანს, რომ არ გაჰყვეს ცხოვრებას. ფილმის ბოლო სცენაში, ბედის ირონიით, ტრუმენი "შემოიფარგლება" ხელოვნური ცით, გზებით და ხიდებით, რომლებიც არსად მიდიან. თავისუფლების პოვნისთვის ის სწორედ თავის უდიდეს შიშს - ზღვას უპირისპირდება. ხელოვნური ცა კვერცხის ნაჭუჭს ჰგავს, რომლიდანაც ტრუმენმა უნდა გააღწიოს, რათა გათავისუფლდეს, ხოლო კარი, რომელსაც იგი ტოვებს, ახალ შესაძლებლობას და თავისუფლებას, ასევე სიახლეს გულისხმობს. მის ნავს "სანტა მარია" ჰქვია (ასე ერქვა კრისტოფერ კოლუმბის ერთ-ერთ გემს, რომელიც იკვლევდა, "ახალ სამყაროს") და ამ ნავით ტრუმენი იწყებს თავისუფლების და ახალი სამყაროს ძიებას.

ბედისმწერი

ნათია მიხელიძე

"თრუმენის შოუ" 1998 წელს გამოვიდა. რეჟისორი პიტერ უირი, ხოლო სცენარის ავტორი, თრუმენის ბედისმწერი, ენდრიუ ნიკოლია. ალბათ, წლების წინ, ეს ფილმი გაუგებარი, შორეული იქნებოდა. ვერავინ იფიქრებდა, რომ რეალურად "მომავლის სახელმძღვანელოდ" იქცეოდა. ვერავინ იფიქრებდა, რომ ჩვენთვის, ტექნოლოგიურ საუკუნეში დაბადებული თაობისთვის, იგი ყოველდღიურობა გახდებოდა. დღეს უამრავი თრუმენია, უამრავი "ინფლუენსერი" (დიახ, დღეს შექმნილ რეალობაში მცხოვრებ ხალხს ასეთი სახელი მოვუფიქრეთ). მათ ცხოვრებას ათასობით ადამიანი უყურებს, აკვირდება, განიხილავს. თუმცა, არის კი რეალური ის, რასაც ვხედავთ? როდესაც კამერა გაკვირდება, შენს გაუმჯობესებულ ვერსიას აჩვენებ. ამიტომ, თრუმენ ბურბენკი ჩვენთვის ერთადერთი რეალური ადამიანია.

იუარებთ, თუმცა, ჩვენ ყველას ჩვენი "თრუმენის შოუ" გვაქვს. სივრცე, რომელიც შევქმენით ან შეგვაქმნევინეს. არ მეთანხმებით? მაშინ, წამით შეხედეთ თქვენს ინსტაგრამის, ფეისბუქუს, ტვიტერის სივრცეს. ახლა, რეალურ სარკეში კი არა, პიროვნულ სარკეში ჩაიხედეთ და ეცადეთ, საკუთარი თავი არ მოატყუოთ, ეცადეთ, საკუთარ თავთან იყოთ თრუმენი. ხართ კი ის, ვინც პატარა ეკრანს იქიდან გიყურებს?

ინსტაგრამში ყველა ფოტოსურათი წავშალე. გადავწყვიტე, ჩემი ძველი ინსტაგრამ ცხოვრება წამეშალა და ახალი დამეწყო. ყველა ფოტო ერთი ფერის გამეხადა. მიზეზი მარტივია, ასეთი ინსტაგრამ-გვერდი გამომწერებისთვის ბევრად მიმზიდველია. ნაცნობის, ან სულაც უცნობის თვალში მისაბაძი ხარ და ჭირსაც წაუღია, რომ ცისარტყელაზე მეტი ფერია შენში. სოციალურ სივრცეში ადვილია წაშალო განვლილი გზა და ახალ გზას გაუდგე.

ფურცელზე საქმე უფრო რთულადაა. თუ ფანქრით წერ წაშლი, მაგრამ მცირე ლაქები დარჩება. კალმით წერისას ვერ წაშლი, მაგრამ შეგიძლია გადმოაბრუნო. სულაც, თეთრი, ახალი ფურცელი აიღო. თრუმენმა შეძლო, სხვისი სცენარი გადმოაბრუნა და საკუთარის წერა დაიწყო. ძველი ცხოვრების "ცის" კარი მიიხურა და მის იქით გაუჩინარდა. ცისკარი ჩვენს ლექსიკონში განთიადს ეწოდება. თრუმენისთვის შექმნილი ცხოვრების მიტოვება და ცისკარის გაღება, მასში გასვლა გათენებად, გამოღვიძებად, მის ცხოვრებაში ნამდვილი მზის ამოსვლად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

რატომ სახელი თრუმენი, მართალი კაცი?

იმიტომ, რომ ის ერთადერთი სიმართლეა ამ ფილმში. საცხოვრებელი - "Seaheaven" გიგანტური კინოსტუდიაა და სხვა არაფერი. მისი მეგობრები, ოჯახის წევრები, შემთხვევით, ქუჩაში შემხვედრი ხალხი კი - მსახიობები. ამინდი ხელოვნური. მზეს, მთვარეს, ზღვას, ცას შეგიძლია შეეხო, დასასრული უპოვნო, რადგან ის, რაც უსასრულო გეგონა, ქაღალდისგან შექმნილი კონსტრუქციაა. როგორც ქრისტოფი იტყოდა, მართალია სამყარო, სადაც ის ცხოვრობს ტყუილია, მაგრამ თავად თრუმენი ხომ ნამდვილია?

ვიცით, რომ ფილმი მედიაპროდუქტია, რომელმაც ჩვენზე უნდა იმოქმედოს. შეგვიძლია, ზღვარი გავავლოთ ჩვენსა და ფილმს შორის, მაგრამ ამას არ ვაკეთებთ. იმიტომ, რომ ჩვენ ახლა ოცდაორი წლის შემდეგ ეკრანს აქეთ მაყურებელი კი არა, ოცდაორი წლის წინ ფილმს შიგნით მყოფი მაყურებლები ვართ. იმ საზოგადოების გაგრძელება ვართ, რომელიც ფილმშია ნაჩვენები. იქნება ეს მსახიობთა თუ მაყურებელთა ჯგუფი, რომლებიც ყველა საქმეს გადადებენ "თრუმენის შოუს" სანახავად, მაგრამ მაინც გულმხურვალედ უგულშემატკივრებენ თრუმენის გზას შოუს დასასრულისკენ და თავისუფლების დასაწყისისკენ.

ეს ფილმი ჩვენ ვართ. ყველა ერთად და ცალ-ცალკე. ეს ფილმი, ცხოვრების მთავარი კითხვაა - სად გადის ზღვარი რეალობასა და ფანტაზიას შორის? ეს კითხვა თრუმენსაც გაუჩნდა. მაშინ, როცა ხელოვნური ციდან განათება ჩამოვარდა. მაშინ, როცა შეუყვარდა, იგრძნო, მაგრამ სულ სხვის გვერდით გაიღვიძა. მაშინ, როცა ცოლმა მასთან საუბარს, კაკაოს, ან დანის რეკლამირება არჩია. მაშინაც, როცა ზღვაში დამხრჩვალი მამა დაინახა. უბრალოდ კი არ უყურებდა მის გარშემო მომხდარს, არამედ ხედავდა კიდეც. დანახული ყოველდღე ერთი და იგივე აღმოჩნდა. უსასრულო განმეორება, მანამ სანამ თრუმენმა მისი ,,საზეპირო ცხოვრება" არ დაიზეპირა.

როდის იწყება გამოფხიზლება?

მაშინ, როცა თრუმენს მიზანი უჩნდება. მიზანი თავისუფლებაა. გაფრინდებოდით, თუ თქვენს წინ მეხდაცემული თვითფრინავის სურათს გააკრავდნენ წარწერით , "ეს შეიძლება შენ დაგემართოს"? თრუმენი მზად იყო გასაფრენად. გადახვიდოდით ხიდზე, თუ ზღვის ფობია გაქვთ, რადგან სწორედ მან წაგართვათ წარმოსახვითი მშობელი? თრუმენი გადავიდა. ჩვენ ალბათ, ყველაფერს ბედის ნიშნად მივიღებდით და განზრახვაზე უარს ვიტყოდით. და თუ მამა გამოჩნდებოდა? ბედის "მ" წერის კი არა საკუთარი სურვილით? მაშინ სად წავიდოდა ზღვის შიში? და სად წახვიდოდით თქვენ? დიახ, შიში გარდაიცვალა და თრუმენი დაიბადა.

სილვიაზე აქამდე არ ვისაუბრე. სიყვარულია, აბსტრაქცია, რომელმაც სილვიას სახე მიიღო. ერთადერთია, ვინც ფიქრობდა, რომ თრუმენის ტყუილში ცხოვრება ბოროტებაა. ერთადერთია, ვინც გაბედა და მას უთხრა, რომ ატყუებდნენ. იყო. წარმოსახვით სამყაროშიც არსებობს კანონები და სასჯელი. ამ შემთხვევაში - სილვია დაისაჯა. ფილმიდან განიდევნა და გიჟის "იარლიყიც" მიიღო. იქნებ, მხოლოდ გიჟად წოდებულნი ხედავენ სიმართლეს, იქნებ მათი სამყარო ყველაზე რეალურია? მახსენდება ეჟან დელაკრუას ტილო, "თავისუფლება მიუძღვება ხალხს". ამ ნახატში, სწორედ ქალია ის სიმბოლო, რომელიც თავისუფლებას გამოსახავს. "თრუმენის შოუშიც" თავისუფლების სიმბოლო, რომლისკენაც თრუმენი მიისწრაფვის - სილვიაა.

სისტემაში არსებული ხარვეზები: განათების ჩამოვარდნა, წვიმა, რომელიც მხოლოდ თრუმენს დასდევს, არეული რადიო, ბეჭედი მელირის ხელზე, ჩვენც და თრუმენსაც გვიჩვენებს, რომ რაღაც რიგზე არ არის. თრუმენის გვარი ბერბანკია. ლოს-ანჯელესში არსებულ კინოპავილიონსაც სწორედ ბერბანკი ეწოდება. ედ ჰარისის პერსონაჟს ქრისტოფი ჰქვია, ასოციაციურად ქრისტესთან მივდივართ. თითქოს, ასეც არის, ქრისტოფი ქრისტედ ყოფნის სურვილია იმ ცხოვრებაში, რომელიც შექმნა. რა ხდება, როცა - christ off? ქრისტოფი ამბობს. თრუმენს წასვლა რომ სდომოდა, ვერაფერი შეაჩერებდაო. მაგრამ სჯერა, რომ ვერაფერი თუ არა, ვინმე - "თავად" შეაჩერებს.

ტრუმენი თავისუფლებას ირჩევს. რას ირჩევ შენ?

და რატომ გაზეთი "ძაღლის ცხოვრება"? იქნებ იმიტომ, რომ ძაღლს ის ცხოვრება აქვს, რომელსაც პატრონი შეუქმნის. გხვდება წარწერა გაზეთზე "Seaheaven" პლანეტის საუკეთესო ქალაქად აღიარეს" - და თუ ასეა, რატომ უნდა მოგინდეს საუკეთესო ქალაქიდან გაქცევა? მოლარის კითხვა - უკან დასაბრუნებელი ბილეთი გნებავთ? - თრუმენის ზღვისადმი შიშის გაღრმავებას ემსახურება. "შემთხვევით" დანახული ჩაძირული ნავი- აზრს ბადებს, რომ შესაძლოა დაიღუპო, უკან ვეღარ დაბრუნდე.

და სიტყვა, რომელიც ხშირად ყველა სხვა იარაღზე ძლიერია. თრუმენისთვის იმის დაჯერება, რომ ქრისტოფმა ეს ყველაფერი სწორედ მის სასიკეთოდ შექმნა, და იქ, კარს იქით, უარესი ცხოვრებაა. ყველა ამ სიმბოლოს, ინდექსა თუ ნიშან-ხატს, მთავარი თავისუფლების სიმბოლო - ზღვა ერევა. უსაზღვროება, რომელიც თავისუფლებისკენ გზაა.

"არქიტექტურა მთვარის შუქზე"

ბოლო სცენა ფერწერულ ნამუშევარს "არქიტექტურა მთვარის შუქზე" მახსენებს. კიბეები ერთი შეხედვით უსასრულობისკენ მიდის, ლოგიკური ბოლო არ აქვს. ცა, რომელიც შორეული გვეჩვენება, ძალიან ახლოსაა. თუმცა, როგორც კი კიბეებზე თავისუფლების იდეით სავსე ადამიანი "თრუმენი" ავა, კარი გამოჩნდება, კიბე თავისუფლების დასაპყრობი მწვერვალი გახდება. ფილმის ბოლო კი ნიშნავს ფილმის დასაწყისს: "სიმაღლე უნდა დაიპყრო, მერე რა, რომ ფეხები ძალიან გეტკინება."

"იმას მაინც შემპირდი, თუ მანამდე მოვკვდები, ვიდრე მწვერვალს მივაღწევთ, თქვენთვის კვების ალტერნატიურ წყაროდ გადავიქცევი." პერსონაჟი თრუმენი, ჩვენი კვების ალტერნატიური წყაროა. მან, საზეპირო ცხოვრების ნაცვლად სიმართლე და თავისუფლება აირჩია. იგი, თავად გახდა თავისი "ბედისმწერი". კარგად გაწერილი, კომფორტული ცხოვრება, ცისკარს იქით, გაურკვეველ მომავალზე გაცვალა, რადგან იქ მთავარი - თავისუფლება წარმოიდგინა.

Is this the real life? Or is this just fantasy?

თამარ ხმიადაშვილი

გიფიქრიათ ოდესმე, რომ კომპიუტერულ სიმულაციაში ცხოვრობთ? გისმენენ, გიყურებენ, მაგრამ ამის შესახებ არაფერი არ იცით. გგონიათ, რომ თქვენ იღებთ გადაწყვეტილებებს, მაგრამ რეალურად ყველა შესაძლო ვარიანტი უკვე გათვლილია?

თუ ამ კითხვებზე დადებითი პასუხები გაეცით, მაშინ გილოცავთ, თრუმენ ბირბენკის ადგილას თქვენს თავს მარტივად წარმოიდგენთ და ყველაზე კარგ შემთხვევაში, თავისუფლებასაც მოიპოვებთ. აი, თუკი თქვენი პასუხები უარყოფითი იყო, მაშინ გირჩევთ, შემდეგი ფრაზა ხშირად გაიმეოროთ - ზოგჯერ საკუთარ თვალებსა და ყურებსაც არ უნდა დაუჯეროთ. ამაში კი ფილმი “the trumen show” თუ არ დაგარწმუნებთ, დაგაფიქრებთ მაინც.

“თრუმენის შოუ” თრუმენ ბირბენკის ცხოვრების შესახებ მოგვითხრობს. ფილმის მთავარი პერსონაჟი თავისი სურვილისგან დამოუკიდებლად რეალითი შოუს ვარსკვლავი, რომელმაც ამის შესახებ არაფერი იცის, და მილიონობით ადამიანის ცხოვრების აზრი ხდება. ცხოვრების აზრი გადაჭარბებული არ გეგონოთ, მაყურებელი თრუმენს 24 საათის განმავლობაში უკვე წლებია უყურებს, მასთან ერთად იძინებს, იღვიძებს, ჭამს, ბანაობს, მასთან ერთად განიცდის სკოლის პირველი დღის სტრესს, პირველ სიყვარულს, პირველ გულისტკენას. მიუხედავად ამ ყველაფრისა, შეუძლებელია იმის თქმა, რომ მათ თრუმენი უყვართ. მათ უბრალოდ მისი ყურება უყვართ. ყველაფერი უყვართ ,,თრუმენის შოუს” შესახებ, გარდა თავად თრუმენისა. თუმცა, ამაზე ოდნავ მოგვიანებით.

ნებისმიერ პროდუქტს, რომელიც საზოგადოების დიდი მასისთვის იქმნება, აქვს დატვირთვა, დაფარული შინაარსი და ნიშნები, რომლებიც ერთი შეხედვით, შესაძლოა, ვერც კი შევამჩნიოთ, მაგრამ ჩვენს არაცნობიერში დაილექოს. რა თქმა უნდა, არც “თრუმენის შოუა” გამონაკლისი.

თითქოს, როგორი სასაცილო და არარეალურია სასიამოვნო საყურებელ ფილმზე ასეთი ჩაღრმავება, მიზეზ-შედეგებისა და ფარული მინიშნებების ძიება. თუმცა, “გაგიცრუებთ” იმედებს და გეტყვით, რომ კადრში მოხვედრილი “უბრალო” განათებაც კი ფილმზე მომუშავე ადამიანთა ჯგუფის ფიქრის შედეგია, აქ არაფერია შემთხვევითი. მეტიც, “თრუმენის შოუში” ერთ-ერთი სწორედ ასეთი მომენტი ხდება ე.წ. კვანძის გამხსნელი.

ერთ-ერთი ასეთი მინიშნება ფილმში თრუმენისა და მისი ცოლის დიალოგში იკვეთება:

თრუმენი: რატომ გინდა, რომ შვილი გყავდეს ჩემთან? შენ ხომ ვერ მიტან.
მერილი: ეს ტყუილია...

შემდეგ კი, როდესაც სიტყვებს ვეღარ პოულობს თრუმენის ყურადღება კაკაოზე გადააქვს: “mococoa - ნატურალური კაკაოს მარცვლები ნიკარაგუადან, ხელოვნური დამატკბობლების გარეშე”. კადრი ახლოვდება, ზუსტად ისე, როგორც რეკლამებში.
სხვა ეპიზოდში, თრუმენის განრისხების შემდეგ ჩანს, მისგან შეშინებული ცოლი დაიყვირებს “გააკეთე რამე!” და შემდეგ მის საშველად (ვითომ კი თრუმენთან ლუდის დასალევად) მისულ მარლონთან ჩახუტებისას იტყვის: “მადლობა ღმერთს! არ შემიძლია ასეთ პირობებში გაგრძელება, ეს არაპროფესიონალურია!” როგორი უცნაურია არა? პატარა და, თითქოს, შემთხვევით სცენებში დამალული
რეალური მნიშვნელობები. ასეთი მინიშნებები ფილმში ძალიან ბევრია.

პერსონაჟების სახელები მინიშნებებითაა დატვირთული. თრუმენი “trueman” წარმოებულია ორი სიტყვისგან true+man - ანუ, ნამდვილი ადამიანი. და მართლაც, ფილმში თრუმენი ერთადერთი ადამიანია, რომელსაც ნიღაბი არ უკეთია და გულწრფელია (მასთან ერთად, ერთადერთი გულწრფელი ადამიანი მთელ ფილმში მისი სატრფო სილვიაა, რომელიც თრუმენისთვის სიმართლის თქმის გამო შოუდან გააგდეს).
რაც შეეხება რეჟისორს, ქრისტოფი - christof- იგივე christopher - წარმოებულია ბერძნული სახელიდან, რაც სიტყვასიტყვით იესოს მატარებელს ნიშნავს. ქრისტოფი ფილმში უფლის, შემოქმედის როლშია (ამას ფილმის ბოლოს, თრუმენთან საუბრისას თავადაც კი ამბობს “I am the Creator”). მან შექმნა და ის აკონტროლებს ფილმის მთავარი პერსონაჟის ცხოვრებას. მის ამ როლზე კიდევ სამი მეტაფორული სიმბოლო მეტყველებს - მზე, მთვარე და ცა. როგორც ფილმში ჩანს, ის თავის შექმნილ ქალაქს ციდან უყურებს, ის ხან მთვარეა, ხანაც მზე, ქრისტოფი აღამებს და ათენებს ქალაქში. მისი სახელის სიმბოლური დატვირთვა ასევე - christof - christ + off , რაც ანტიქრისტედ შეიძლება გავიაზროთ.

Seaheaven-ი (კუნძულია, რომელზეც თრუმენი ცხოვრობს). heaven - ნავსაყუდელს, თავშესაფარს ნიშნავს და შესაძლოა, მივიჩნიოთ ერთგვარ უსაფრთხო ადგილად, რომელიც თრუმენმა არ უნდა დატოვოს, რადგანაც აქ მას არაფერი ემუქრება. ამასთან, კუნძული სიმბოლურად ასახავს მის მოწყვეტილობას რეალური სამყაროსგან.

Is this the real life? Or is this just fantasy?

ტრუმენის ოცნება მოგზაურობაა, ამიტომ ქრისტოფი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მის ქვეცნობიერში საცხოვრებლის არდატოვების აზრი დალეიქოს. ზემოაღნიშნული კუნძულის სახელიც, ვფიქრობ, სწორედ ამის მცდელობაა.

ქრისტოფი, რომელიც საკუთარ თავს ღმერთად, შემოქმედად აღიქვამს, ცდილობს ტრუმენი დაარწმუნოს, რომ სიჰევენის კუნძული საუკეთესო ადგილია და მან არ უნდა დატოვოს ის. გამოყენებული არგუმენტები შემდეგნაირია - ტრუმენმა დააგვიანა და მსოფლიოში აღმოსაჩენი აღარაფერი დარჩა. რა თქმა უნდა, არგუმენტები დამაჯერებელია და ლოგიკური, ზოგჯერ ტრუმენის ემოციებზე მოქმედიც. ტრუმენს ან იმედებს უცრუებენ, ან აშინებენ.

მეტი თვალსაჩინოებისთვის, შესაძლოა, ქრისტოფსა და ტრუმენს შორის, ფილმის ბოლოს გამართული დიალოგიც გამოდგეს: "მომისმინე, ტრუმენ. სამყაროში, რომელიც შენთვის შევქმენი იმაზე მეტი სიმართლეა, ვიდრე მის გარეთ.. ჩემს სამყაროში არაფრის უნდა გეშინოდეს. მე იმაზე კარგად გიცნობ, ვიდრე შენ იცნობ შენს თავს...
გეშინია. ამიტომ ვერ მიდიხარ. არა უშავს, ტრუმენ. მე მესმის..."

ფილმში ზღვა თავისუფლების სიმბოლოდ შეგვიძლია განვიხილოთ. ფილმში კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვან სიმბოლოს ვხვდებით. პირველი მათგანი არის ზღვა, წყალი - ანუ ტრუმენის მამის დაღუპვის შემდეგ მისი ყველაზე დიდი შიში. ტრუმენს თავიდან ეშინია თავისუფლების, მაგრამ შიშს ლახავს და ბოლოს, როდესაც ნავით ოცნებებისკენ ილტვის, წყალში დახრჩობისაც კი აღარ ეშინია, იმდენად სწყურია თავისუფლება.

ოცნებებისგან ტრუმენს ზღვასთან ერთად, ხიდებიც აშორებს. ხიდი, ზოგადად, დამაკავშირებელ სიმბოლოდაა აღქმული, თუმცა, ამ შემთხვევაში, ფილმში არსებული ხიდების უმეტესობა არსად მიდის. აღნიშნული იმაზე მიანიშნებს, რომ ტრუმენისთვის ერთადერთი გზა, რომ თავი დააღწიოს ამ ყველაფერს, არა მიწა, არამედ წყალია.
ამასთან, მინდა აღვნიშნო ტრუმენის იკონური ფრაზა - "იმ შემთხვევაში თუ ვერ გნახავთ, შუადღე მშვიდობისა, საღამო მშვიდობისა და ღამე მშვიდობისა!" - ეს მაყურებელს ფილმის განმავლობაში რამდენჯერმე და ბოლო, ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში ესმის, როდესაც ტრუმენი თავს უკრავს მაყურებელს და შავ სიცარიელეში შედის.

თითქოს, ყველაფერი ბედნიერად დასრულდა, თუმცა, ფილმი ყველაზე მნიშვნელოვან კითხვას გვიტოვებს: როგორ უნდა იცხოვროს ტრუმენმა იმ სამყაროში, რომელშიც არაფერია წინასწარ დაგეგმილი და გათვლილი? რეალითი შოუს მაყურებელი კი, რომლებიც ტრუმენის ცხოვრებით ცხოვრობს შოუს დასრულებისთანავე ეძებს ახალ გასართობს.

D66 Internationaal IDI International Democratic Initiative

ქავქავაძის ცენტრი
ილია ქავქავაძის სახელობის ევროპული კვლევებისა და სამოქალაქო განათლების ცენტრი

თრუმენი Seaheaven-ში

ეთო მიდელაშვილი

“ყელში ამოგვივიდა უნიჭო მსახიობების ყალბი ემოციების ყურება. მოგვბეზრდა პიროტექნიკა და სპეცეფექტები” - ამ სიტყვებით იწყებს საუბარს რეჟისორ პიტერ უირის ფილმის “თრუმენის შოუს” გმირი, კრისტოფი. თუმცა, სწორედ თავად არის ყალბი და ხელოვნური სამყაროს შემოქმედი. სამყაროსი, რომელიც გამოგონილ ქალაქ Seaheaven – **ში** მდებარე უდიდეს კინოპავილიონს წარმოადგენს. ფსევდო-რეალობაში მყოფი ერთადერთი ნამდვილი ადამიანი, ფილმის მთავარი გმირი თრუმენ ბურბეკია. იგი პირდაპირ ეთერში დაიბადა და შოუც ასე დაიწყო.

გარდა იმისა, რომ “თრუმენის შოუ” დატვირთულია სემიოტიკით, სიმბოლოებით, ინდექსებით, რიტორიკისთვის დამახასიათებელი დარწმუნების ხერხებით (ეთოსი, პათოსი, ლოგოსი), ფილმში ასევე კარგად ჩანს როგორია მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების, მედიისა და პიარტექნოლოგიების გავლენა ადამიანებზე. მაგალითად, მსახიობები საკმაოდ დაძაბულ სცენებში განსაკუთრებული ხელოვნურობით წარმოაჩენენ რომელიმე ბრენდის კაკაოს, ან ლუდს, ახმოვანებენ სარეკლამო სლოგანებს. ფილმში ნათლად ჩანს, რომ პოსტმოდერნულ ეპოქაში კულტურისა და ხელოვნების კომერციალიზაცია სავსებით ბუნებრივი მოვლენაა. პოსტინდუსტრიული საზოგადებისთვის სინამდვილის არსებობა არც კი განიხილება, აღარავინ ილტვის მის საძიებლად, ასეთია ვირტუალური რეალობა და სწორედ ამ რეალობაში ცხოვრობს თრუმენი, ერთი შეხედვით სრულიად ჩვეულებრივი ადამიანია, რომელსაც ადამიანური განცდები აქვს, ოცნებები, შიშები, ჰყავს ოჯახი და მუშაობს სადაზღვეო სააგენტოში. თუმცა, წარმოდგენა არ აქვს იმის შესახებ, რომ კინოვარსკვლავია, ტელეეკრანზე მილიონობით ადამიანი უყურებს, ყოველდღიურად ათასობით კამერა აკვირდება და საერთოდაც, მისი ცხოვრების სცენარს სხვა წერს. თრუმენს მხოლოდ მცირე ინტერპრეტაციები უნებლიეთ შეაქვს სცენარში.

ბავშვობაში მაგელანივით მოგზაურობა და ტერიტორიების აღმოჩენა სურდა, მაგრამ ძალიან “დააგვიანდა.” მისი მასწავლებლის თქმით, აღმოსაჩენი აღარაფერია. თრუმენს სურს ფიჯიზე წავიდეს, მაგრამ თვითმფრინავის ბილეთები აღარ არის, ავტობუსი არ იქოქება... როგორც კი ამ სივრციდან გაღწევას გადაწყვეტს, მთელი სამყარო მის წინააღმდეგ იწყებს მოქმედებას. ერთადერთი, რითიც მთავარი გმირი თავის თავს გამოხატავს, სარკეში ლაპარაკი და ხატვაა. ის ამ მოცემულობაშიც კი ინარჩუნებს ფანტაზიისა და საღი აზროვნების უნარს, რადგან “თავად თრუმენი ხომ ნამდვილია?”

ნამდვილია თრუმენი, მაგრამ მსახიობია მისი "ბავშვობის მეგობარი", "მეუღლე" (მერილი), "მშობლები", "თანამშრომელი"... ისინი რიტორიკული ხერხების დახმარებით გამოგონილ სამყაროს რეალობად წარმოაჩენენ. ფილმის პირველივე წამებიდან კრისტოფი ჯერ ჩვენი, მაყურებლების დარწმუნებას ცდილობს იმაში, რომ ხელოვნურად შექმნილ სამყაროში ყველაფერი, რასაც ვხედავთ ნამდვილია, დასასრულს კი თრუმენს ესაუბრება იმავე პათოსით.

ყოველივე ამის მიუხედავად, მთავარი გმირი იმ ერთიანი ფაზლის აწყობას, რომელსაც ფსევდორეალობა ჰქვია, ნიშნებისა და სიმბოლოების დახმარებით ცდილობს და ახერხებს კიდეც. სიმბოლურია თავად "true man"-იცა და "seaheaven"-იც, მაგრამ მთელი ამ სისტემის რღვევის პირველი ნიშანი ფილმში ნათურის ჩამოვარდნით იწყება, შემდეგ კი დომინოს პრინციპით გრძელდება - ხელოვნური წვიმა, სიგნალის დაკარგვა რადიოზე... თრუმენის გამოფხიზლებაში დიდი წვლილი შეაქვს სილვიას. თრუმენი აკვირდება საქორწინო ბეჭედსა და ფოტოსურათს ადარებს, ნელ-ნელა უჩნდება ეჭვები. ხან სამსახურში წასულ მერილს უკან მიჰყვება, ხან კი მანქანის სარკეში პროგნოზირებს იმაზე, თუ რა იქნება შემდეგ. კრისტოფი კი მსახიობებისგან შორს, ზეცაშია გამოკეტილი და იქიდან განაგებს ყველაფერს. და არარეალური აქ არაფერია, განა ჩვენც არ ვაღმერთებთ ხოლმე ადამიანებს? ხშირად ჩვენს ნაცვლად სხვა არ წყვეტს რა არის ჩვენთვის უკეთესი და ეს სრულიად ბუნებრივ მოვლენად არ მიგვაჩნია?

"ნუთუ სინდისი არ გაწუხებთ?" - იკითხავდა სილვია. მაგრამ მარტივია ორატორული ხერხებით ადამიანები დაარწმუნო იმაში, რომ რეალური სამყარო არ არის ნორმალური. იქ ბევრად უფრო მეტი ტკივილია. რა თქმა უნდა, "თუ მოგინდება, ნებისმიერ დროს წახვალ, მაგრამ განა ციხე არ სჯობს დაავადებულ სამყაროს?"

ფილმში უმნიშვნელოვანესი დატვირთვა აქვს ზღვასაც. მართალია, თრუმენს მისი ეშინია, რადგან რეჟისორი მამამისს ზღვაში ახრჩობს, მაგრამ რეალურად სანაპირო ერთადერთი ადგილია, სადაც სილვიასთან ერთად გაქცევას ახერხებს. სილვიაც ერთადერთი მსახიობია, რომელსაც უჩნდება პროტესტის გრძნობა არსებული სისტემის მიმართ და თრუმენს სიმართლეს პირში მიახლის. მოგვიანებით კი სილვია კრისტოფთან დაპირისპირებასაც არ ერიდება.

და ბოლოს, თრუმენი რეალურ სამყარომდე სწორედ ზღვის საშუალებით გააღწევს, შეეცდება ხელოვნური კედლის დანგრევას და საბოლოოდ ავა ცხოვრების ახალ საფეხურზე. "სხვა გზა არ გაქვს, მეგობარო, ეს სიმაღლე უნდა დალაშქრო. მერე რა რომ ფეხები ძალიან გეტკინება..."- ასე ამხნევებს საკუთარ თავს კიბეზე მიმავალი თრუმენი. კიბეზე, რომელიც რენე მაგრიტის ნახატს გვაგონებს. ვირტუალური სამყაროს შემოქმედს, მთელ მის 30-წლიან რიტორიკას კი ამგვარად პასუხობს: "იმ შემთხვევაში, თუ ვეღარ გნახავთ, დილამშვიდობისა, საღამომშვიდობისა და ძილინებისა."

The Truman Show



ფილმში ფილმი

მარიამ ნინიაშვილი

"ტრუმენის შოუ" არის ფილმში ფილმი, რომელიც მოგვითხრობს ერთი შეხედვით ჩვეულებრივ, არავისგან განსხვავებულ ადამიანსა და მის ყოველდღიურ რუტინაზე, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება გაუთვითცნობიერებლად ერთ დიდ შოუში გაატარა. ის როგორც ყოველთვის იღვიძებს, ემზადება სამსახურში წასასვლელად, სახლის კარიდან მანქანის კარამდე ესალმება მეზობლებს, სახლიდან სამსახურამდე ყოველ დილას ყიდულობს ჟურნალ-გაზეთებს, მიდის არც ისე საინტერესო სამსახურში, მაგრამ ვალდებულია, იმუშაოს და საარსებო თანხა გამოიმუშაოს, დღის ბოლოს კი, მეგობართან ატარებს დროს და ბრუნდება სახლში მეუღლესთან. ასე გამოიყურება მთავარი პერსონაჟის, ტრუმენ ბერბანკის, ყოველდღიურობა.

ტრუმენის ცხოვრებას ფილმში ათასობით ადამიანი, მსოფლიოს მასშტაბით 5 000-მდე კამერით, სწორედ რომ მედიის საშუალებით აკვირდება. ფილმის სიუჟეტი გვაჩვენებს, თუ როგორ შეუძლია მედიას გავლენა მოახდინოს საზოგადოებაზე და შექმნას ამავე საზოგადოებისათვის სასურველი რეალობა, რომელიც სინამდვილეში, არც ისე სასურველია. ერთადერთი ნამდვილი, რაც ამ ფილმშია და არ თამაშობს და იყიდება, ეს მთავარი პერსონაჟია, ტრუმენია, ანუ "ნადვილი კაცი" მე ფილმში ადამიანთა სამი სახე დავინახე. პირველი ეს ტრუმენ ბერბანკია, ადამიანი, რომელიც მიხვდა, რომ ერთ დიდ წრეზე მოძრაობს და არაფერი იცვლება მის ცხოვრებაში. მიუხედავად წინაღობების, ტრუმენი არ ნებდება და საბოლოოდ, თავისუფლებას აღწევს.

მეორე კატეგორიაში ის ადამიანები არიან, ვინც ტრუმენის გარშემო ცხოვრობენ. რა განსხვავებაა მათსა და ტრუმენისნაირ ადამიანებს შორის? ის, რომ მათ იციან როგორ რეალობაში ცხოვრობენ, ასრულებენ სხვის ბრძანებებს, ემორჩილებიან მათ, ეშინიათ წინააღმდეგობის გაწევის, არ შესწევთ ძალა იბრძოლონ უკეთესობისაკენ და ეს არც აწუხებთ. თუ მათ გარშემო ვინმე გამოღვიძებას იწყებს, რა თქმა უნდა, ხელს უშლიან "იდილიის" დარღვევაში.

მესამე კატეგორია ეკრანის გარშემო მყოფი ადამიანები არიან, რომლებიც სხვის მიერ მოწყობილი ცხოვრებით ცხოვრობენ და საკუთარი არ გააჩნიათ. მათზე რომ ვფიქრობ, წარმოვიდგენ ცვილის ფიგურებს, რომლებიც ვერაფერს გრძნობენ, სრულიად ცარიელნი არიან, არც არაფერს ქმნიან ფასეულს და ვერც ვერაფერს მატებენ მათი არსებობით სამყაროს. სხვა ადამიანების ცხოვრებაზე დამოკიდებულნი არიან, მათი ამბებით სუნთქავენ და ცოცხლობენ. დასასრულშიც კარგად გამოჩნდა მათი სახე, ერთი ამბავი ამოწურეს და შემდეგ სხვისი ძიება დაიწყეს. ამის საშუალებას კი ისევ ჩვენ, ადამიანები, ვიძლევით.

ნებისმიერი მედია პროდუქტი იქნება ეს რეკლამა თუ ფილმი ისწრაფვის ჩვენთვის რაიმე კონკრეტულის დაჯერებისაკენ და ეს ყველაფერი ექცევა ერთ ჩარჩოში, რომელიც ჩვენთვის ადვილად შესამჩნევი და ხელმისაწვდომია. ფილმში ქრისტოფის პერსონაჟი აღნიშნავს, რომ ისინი სარეკლამო ჭრას იმიტომ არ საჭიროებდნენ რომ მთელი ფილმი, ისედაც ერთი დიდი რეკლამა იყო, იმიტომ რომ ყველაფერი, რაც იქ ჩანდა, და რასაც მაყურებელი ხედავდა ხელმისაწვდომი იყო მათთვის.

ფილმში განვითარებული მოვლენები არაფრით განსხვავდება ჩვენი დღევანდელი რ ეალობისაგან. ჩვენი ცხოვრება ერთი დიდი თამაშია. დიახ, ვუყურებდი და ვხდებოდი, რომ ჩვენი ყოველდღიურობაც შოუა, წინასწარ გაწერილი, ზოგჯერ გაუთვალისწინებელი მომენტებით, ჩვენც გვიწევს სხვებს დავემორჩილოთ, სხვის ბრძანებებს, მოთხოვნებს, წესებსა და კანონებს ვემორჩილებოდეთ. გაიღვიძე, ადექი, ისწავლე, იმუშავე, გაერთე, დაიძინე და კვლავ იგივე... ასე გადის დრო, სანამ ეს რუტინა ტრუმენ ბერბანკივით არ დაგვღლის და მიგვახვედრებს, რომ რაღაც ახალის, განსახვავებულისკენ დაიწყო სწრაფვა.

ნამდვილი ადამიანი

"ჩვენ რეალობას ისეთს ვიღებთ, როგორადაც მას წარმოგვიდგენენ"

ნუცა გურგენიძე



ალბათ ყველა ჩვენგანს ერთხელ მაინც გვიფიქრია, რომ ჩვენს ცხოვრებაზე კარგი ფილმი გადაიღებოდა, ან კარგი წიგნი დაიწერებოდა. ბევრჯერ გვინახავს ისეთი ფილმი ცხოვრებასთან პარალელი რომ გაგვივლია და გვიფიქრია, იქნებ ჩემ გარშემოც ასე ხდებაო. ჩემთვის ასეთი ფილმი აღმოჩნდა პიტერ უირის 1998 წელს გადაღებული ფილმი, "ტრუმენის შოუ".

ფილმი მოგვითხრობს ტრუმენ ბერბანკზე, რომელიც ერთი შეხედვით არაფრით განსხვავდება სხვებისგან. ცხოვრობს ცოლთან ერთად, მუშაობს სადაზღვეო სააგენტოში. ჯიმ ქერის პერსონაჟს წარმოდგენა არ აქვს, რომ რეალურად ის ერთ დიდ სტუდიაშია, რომელიც მისი ცხოვრების საფუძველზეა შექმნილი. დაბადებიდან, იქამდე სანამ იგი სიმართლეს გაიგებს, გარშემორტყმულია კამერებით და მსახიობებით, რომლებიც მისი მეგობრები, მეზობლები და კოლეგები ჰგონია. სამწუხაროდ, მან არ იცის, რომ მის გაღვიძებას, ჭამას, მუშაობას და ნებისმიერ ქმედებას მილიონობით ადამიანი აკვირდება მსოფლიოს გარშემო 24 საათის განმავლობაში, კომერციული შეფერხებების გარეშე.

ტრუმენის ცხოვრების წარმმართავი ქრისტოფია, კიდევ ერთი მთავარი პერსონაჟი, რომელიც ამ რეალითი შოუს რეჟისორია. ქრისტოფის ხასიათებისა და ფანტაზიის მიხედვით წარიმართება ტრუმენის ყოფაც. ეს ფილმი კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ გავლენას ახდენს მედია საზოგადოების ცხოვრებაზე, სწორედ საზოგადოების სიმბოლოა თავად ტრუმენი..

ფილმში ყველაფერი "გარეკლამებულია". ადამიანები, რომლებიც ტრუმენის ცხოვრებით ცხოვრობდნენ და ჩანს, რომ ასეთები არც ისე ცოტანი იყვნენ, აუცილებლად იქნებოდნენ შოუში დარეკლამებული ნივთების მომხმარებლებიც. აქედან კარგად ჩანს, რომ თითქმის ყველა გემოვნების მაყურებელში ჯდებოდა ეს რეალითი შოუ, იმდენად იყვნენ მასში ჩართულები, რომ დასრულების შემდეგ ყველას ერთი კითხვა გაუჩნდა: "ახლა რას ვუყუროთ?".

ფილმში ვხვდებით ნიშნებს, სიმბოლოებს, ნიშან-ხატებს, რომლებიც მთავარი სათქმელის აღქმაში გვეხმარება. პირველი სიმბოლო, რომელიც ჩემთვის თვალშისაცემია, ტრუმენის კაბინეტში შესასვლელი კარია, რომელიც მუდმივად ერთ წრეზე ტრიალებს. თითქოს ასეთია მისი ცხოვრებაც, რუტინული, მუდმივად ერთ მხარეს მოძრავი. ყველაფერი მას შემდეგ იცვლება, როცა ერთ დღეს გადაწყვეტს, რომ ამ კარში აღარ შევიდეს.

ჯანმრთელობის დღიურები

ფილმის ყურებისას ეჭვი, რომ ეს ყველაფერი არა-რეალურია, მაშინ ჩნდება, როცა სტუდიის განათება ციდან ვარდება. ეს ერთგვარი ნიშანია იმისა, რომ ეს ყველაფერი ყალბია, მისი ცხოვრება დაინგრევა და სხვა მხრივ წარიმართება. თრუმენის საცხოვრებელ ადგილს "Seaheaven" ერქვა. სახელის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ აქ ყველაფერი იდეალური უნდა ყოფილიყო და ამ სამოთხიდან წასვლა არ უნდა სდომებოდა. მიუხედავად ამისა, მას ფიჯიზე წასვლა სურდა.

ერთადერთი გზა, რითაც ჯიმ ქერის პერსონაჟს ფიჯიზე მოხვედრა შეუძლია, ზღვაა. ზღვა თავისუფლების სიმბოლოა, საშუალება, რომლითაც თრუმენს შეუძლია არა მხოლოდ ფიჯიზე მოხვედრა, არამედ ამ სიცრუისგან თავის დაღწევა. სწორედ ამიტომ, მას თავიდანვე შეუქმნეს ილუზია, რომ წყლის ეშინია. ეს შიში კი მამამისს უკავშირდება. მამამისი კვლავ გამოჩნდება და გაირკვევა, რომ ის არაა გარდაცვლილი. ვფიქრობ, თრუმენი უკვე აქედან იწყებს ფიქრს, რომ ზღვა ისეთი საშიში არაა, როგორადაც აქამდე აღიქვამდა.

ფილმში ვხვდებით პერსონაჟ გოგოს, რომელიც ამდენ ადამიანში აღმოჩნდა ერთადერთი, ვინც ამ სიცრუეს დაუპირისპირდა და ეცადა თრუმენისთვის სიმართლე ეთქვა. ფრაზა, რომელიც მას სამკერდზე ნიშანზე აწერია "How's it going to end", ესეც ერთგვარი ნიშანია იმისა, რომ თრუმენმა ეჭვი შეიტანოს თავის ცხოვრებაში და მაყურებელიც მიხვდეს, რომ ნელ-ნელა ეს ყველაფერი დასასრულისკენ მიდის. მთელი ფილმის განმავლობაში თრუმენი ამ გოგოს ეძებს, ესეც შესაძლოა, მივიჩნიოთ თავისუფლების და რეალური სამყაროს ძიების სიმბოლოდ.

ფილმში ნიშან-ხატი ქრისტოფი, ამ ტელეშოუს რეჟისორია. თუ ეს ტელეშოუ თრუმენის ცხოვრებაა, ქრისტოფი გამოდის ღმერთი, რომელმაც შექმნა ეს ცხოვრება. მან აქცია პიროვნებად, მისცა სამუშაო, ცოლი, მეგობრები, მეზობლები და კოლეგები. მაგრამ, ამ ყველაფერს უპირისპირდება მისი სახელი და ქმედებები. christ off, შეიძლება პირიქით, ანტიქრისტედაც დავინახოთ. მისი ქმედებები ეგოისტურია, ცდილობს, თრუმენს ყველანაირად გადააფიქრებინოს თავისი შეთხზული გარემოს დატოვება, არწმუნებს რომ ის ცხოვრება, რომელიც მან მისცა ბევრად უფრო უკეთესია, ვიდრე რეალური.

საბოლოოდ, თრუმენი ახერხებს სიმართლის დანახვას და ცდილობს, გაექცეს ამ არარეალურ სამყაროს. დაძლევს წყლის შიშს, რაც ერთგვარად თავისუფლებისკენ გადადგმული ყველაზე დიდი ნაბიჯია. ბოლო კადრში ჩანს, რომ ჯიმ ქერი ადის კიბეზე, რომლის ბოლოს დიდი კედელია. ამ კიბეზე ასვლა ჩემთვის ერთგვარად სიმბოლოა, სხვა, ახალ რეალობაში გადასვლისა და შიშზე გამარჯვების. ხოლო კედელის იქით, ის რეალური ყოფაა, რომელისკენაც თრუმენი მიილტვის. ბოლო მომენტში მთავარი პერსონაჟი თავად ესაუბრება ქრისტოფს, რომელიც თავის მხრივ ცდილობს აუხსნას, თუ რატომაა მის მიერ შექმნილი ცხოვრება უკეთესი. თრუმენიც დაკვირვებით უსმენს და ერთ მომენტში შეიძლება იფიქრო კიდეც, რომ მორჩა, იგი რჩება. თუმცა ზუსტად ამ მომენტში გადადგამს ნაბიჯს ახალი ცხოვრებისკენ, მთავარი მიზეზი კი ამ ყველაფრისა იყო მიზანი, რომელიც თრუმენს გააჩნდა. მან ნამდვილად იცოდა, რა მიზანი ჰქონდა და რა უნდოდა, ეს გახდა მოტივაცია იმისა, რომ თავი დაეღწია ამ არარეალური სამყაროსთვის. საგულისხმოა ამ ადამიანის სახელიც, "true man"-მართალი კაცი. ის იყო ერთადერთი ნამდვილი და მართალი ადამიანი მთელ თავის გარემოცვაში.

ის, რაც ვერ ხანს

ანა შუბითიძე

მიუხედავად იმისა, რომ ფილმის გამოსვლიდან 20 წელზე მეტი გავიდა, მასში წამოჭრილი ძირითადი საკითხი აქტუალურობის ნაკლებობას დღესაც არ უჩივის.

შეიძლება ითქვას, რომ მედია ინტერნეტის ეპოქაში იმაზე მეტად მანიპულირებს საზოგადოების ცნობიერებით, ვიდრე ოდესმე. ფილმი მშვენიერი დემონსტრირებაა იმისა, თუ რამხელა ძალა და გავლენა აქვს მედიას ადამიანზე და მისი ცნობიერების ფორმირებაზე.

იმისათვის, რომ ტრუმენის შოუს ნარატივი მედიის ძალის დემონსტრაციის კუთხით განვიხილოთ, აუცილებელია, ტრუმენის პერსონაჟში საზოგადოების სიმბოლო დავინახოთ. ასეთ შემთხვევაში მარტივად შევამჩნევთ, თუ რა როლს თამაშობს მედია სასურველი რეალობის ილუზიის შექმნაში. ჩვენ, თითქმის უპირობოდ ვიღებთ და ვიჯერებთ იმას, რასაც შავი ყუთიდან კარგად ნაცნობი ან ახალი სახეები გვაწვდიან. ამ "მაგიურ ძალას" მედია ე.წ. დასწრების ეფექტის გამოყენებით აღწევს და ეს ეფექტი არსად ისე ძლიერად არ მიგრძვნია, როგორც ამ ფილმში. რეჟისორის ჩანაფიქრიც ეს იყო, თრუმენის ყოველდღიური ცხოვრების ამსახველი კადრების პარალელურად ეკრანზე მონაცვლეობით ჩნდება მაყურებელთა რამდენიმე კატეგორია, რომლებიც იმდენად არიან ჩართულნი თრუმენ ბენბარკის ცხოვრებაში, რომ საკუთარისთვის დროს არ იტოვებენ.

მაშინ ლოგიკურია, ჩნდება კითხვა, სად გადის ზღვარი გამოგონილსა და რეალურს შორის, რა არის ის გარდამტეხი რამ, რაც "იდეალურ" სამყაროში მცხოვრებ ტრუმენს უბიძგებს, რომ ყველა და ყველაფერი დატოვოს და რეალურ, თუმცა უცნობ სამყაროში შეაბიჯოს?!

"თრუმენის შოუ" საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ რეაგირებს მედია და რეკლამა საზოგადოების გემოვნებაზე. როგორც კი ტრუმენი საბოლოოდ გადაწყვეტს, რომ ფიჯიზე უნდა წავიდეს, ჩნდება უამრავი ნიშანი, რომელიც ერთგვარი გაფრთხილებაა, რომ არ დატოვოს მისთვის შექმნილი კომფორტის ზონა. საერთო ხედის ჩვენებისას აღმოვაჩენთ, რომ ტრუმენის უეცარმა გადაწყვეტილებამ "იდეალური" სურათი ოდნავ შეარყია, შესაბამისი მომზადება ვერ შეძლო "ქასთმა" ჩნდება წვრილ-წვრილი ნიშნებია და შემზადება იმისთვის, რომ ტრუმენს ეჭვის მარცვალი გაუღვივდა გულში და წასვლის სურვილი ერთხელ თუ შეუჩნდა, აუცილებლად ეცდება დაიკმაყოფილოს კიდეც. ფილმს ლაიტმოტივად გასდევს ფრაზა - "How's it going to end", რომელიც იმ გოგონას სამკერდე ნიშანზე აწერია, რომელიც ერთადერთი აღმოჩნდება, ვისაც ეყოფა გამბედაობა, რომ არსებულ "რეალობაში" მარაზმი დაინახოს და ილაპარაკოს, იმოქმედოს, სცადოს, თვალი აუხილოს ტრუმენს.

ჰორიზონტს მიღმა ცა ერთდროულად ყოველთვის უსასრულო და ხელშესახები ხაზისმაგვარი ჩანს. თუმცა, თრუმენმა თავად იხილა იგი და უსასრულობის ნაცვლად ხელში ცის გამოსახულების გრაფიკული კედელი შერჩა. იქნებ იმისთვის, რომ რაღაცას საზღვრები მივანიჭოთ ჯერ უნდა გავბედოთ, კომფორტის ზონა უკან მოვიტოვოთ და ვნახოთ, იქნებ მიზანი იმაზე ახლოსაა ჩვენთან, ვიდრე თრუმენისთვის ჰორიზონტის ხაზი იყო.

The Truman Show

წყლის და ზეცის სიმბოლოებს ლოგიკურ ბმაში კიბე მოჰყვება. ბავშვობაში ყოველთვის მჯეროდა, რომ ღრუბლებს იმიტომ ვერ ვეხებოდი, რომ მამაჩემს საკმარისად დიდი კიბე არ ჰქონდა. თრუმენს ეს პრობლემა არ ჰქონია, ზღვის კიდეზე დახვდა ზუსტად იმ ზომის კიბე, რომელიც გამოგონილსა და რეალურ სამყაროს შორის დამაკავშირებლად საკმარისი იქნებოდა. ბოლოს საფეხურების ავლისას კადრში კარი ჩნდება. ,,სივრცეში" გაჭრილი კარი, რომელიც ერთი სამყაროდან მეორეში გადასვლის სიმბოლოა. კარში გასვლით ტრუმენ ბერბანკი კრისტოფსა და მთელ მის გამოგონილ სამყაროს ზღურბლს მიღმა დატოვებს და ახალ, რეალურ სამყაროში გადააბიჯებს.

ფილმის დასაწყისში რეჟისორი კრისტოფი მონოლოგის რეჟიმში საუბრობს. მისი ეთოსი საკმაოდ მტკიცეა, მანამ სანამ თავისდა უნებურად არ დასვამს შეკითხვას, - "მართალია სამყარო, რომელშიც ის ცხოვრობს ხელოვნურადაა შექმნილი, მაგრამ თავად თრუმენი ხომ ნამდვილია?" პათოსიც არც ისე ამაღელვებელია, რომ მაყურებელში წინასწარი ემოციები გააღვივოს. ლოგოსი კი, თავისივე შეთხზული არგუმენტებითაა გამდიდრებული, რომლისაც ბოლომდე არ ვიცი, სჯერა თუ არა, - "ეს მისი ცხოვრებაა, ის მართლა ცხოვრობს." სამაგიეროდ, იგივეს ვერ ვიტყვით ფილმის დასკვნით ნაწილზე, სადაც იმდენად სასოწარკვეთილია, რომ თავის სავარძელში ჯდება და ტრუმენ ბერბანკთან საუბარს იწყებს. მისი ეთოსი აქ ისევ არ არის მტკიცე, ღრმად ჩაისუნთქავს და შოუს გადარჩენას უკანასკნელად, საკუთარი ძალის გარეშე, არგუმენტების (რომლისაც მხოლოდ თავად სწამს) დახმარებით ცდილობს, თუმცა უშედეგოდ, მიზანთან ასე ახლოს მყოფს უკან ვერაფრით დააბრუნებს.

დასკვნითი სცენა იმდენად მომნუსხველია ჩემთვის, რომ ფილმის ყოველი ნახვის შემდეგ თავიდან ვექცევი მისი შთაბეჭდილების ქვეშ. ჯიმ ქერი მთელი პათოსით ცდილობს დაგვანახოს ის ემოცია, რომელსაც დაფარული სინამდვილის აღმოჩენა აღვიძებს მასში. ემოცია, რომ აქამდე იყო არავინ, რომლის შესახებაც ყველამ იცოდა.

ყველა თამაშობდა იმისთვის, რომ თრუმან ბერბანკს რეალობის ილუზია შექმნოდა. ჭამდნენ მაშინ, როდესაც ეს სცენარით იყო გაწერილი, ეძინათ მაშინ, როცა მთავარი გმირი იძინებდა, სეირნობდნენ მაშინ, როდესაც ეს საჭირო იყო და არცერთ მათგანს (გარდა მამისა და მეგობარი გოგონასი) არ გასჩენია განცდა იმისა, რომ თრუმენი ტყვე იყო ტელეშოუსი, რომელსაც დღიდან დღემდე დროის გასაყვანად თვალის მოუცილებლად უყურებდა "საზოგადოება" თითქმის ყველა ქვეყანაში. საზოგადოება, რომელსაც ახლაც გაცხოველებულად აინტერესებს ვინ როგორია, რას ან როდის ჭამს, რას და სად იცვამს, როგორ უხარია, ან როდისაა ბედნიერი. ამიტომ ვფიქრობ, მიუხედავად იმისა, რომ ფილმის გამოსვლიდან 20 წელზე მეტი გავიდა, მასში წამოჭრილი ძირითადი საკითხი აქტუალურობის ნაკლებობას დღესაც არ უჩივის. შეიძლება ითქვას, რომ მედია ინტერნეტის ეპოქაში იმაზე მეტად მანიპულირებს საზოგადოების ცნობიერებით, ვიდრე ოდესმე.

თრუმენი - True

სოფო კედელაშვილი

1998 წელს გადაღებულ დრამაში, რეჟისორი პიტერ უეირი ახალგაზრდა სადაზღვეო აგენტზე - თრუმენ ბერბანკზე გვიყვება, რომელიც თითქოს იდეალური ცხოვრებით ცხოვრობს, თუმცა გვიან აღმოაჩენს, რომ გარშემო ყველაფერი ერთი დიდი ტელეშოუს ნაწილია. ის დაბადებიდან "თრუმენის შოუს" მთავარი გმირია, რომელიც ეთერში 24 საათის განმავლობაში გადის. თრუმენი ანუ მართალი კაცი (true man) ამ ფილმში ერთადერთია, ვინც გულწრფელია. მის ყველა ნაბიჯს რეჟისორი აკონტროლებს და ათასობით ფარული კამერა ასახავს.

ქრისტოფი, შოუს ავტორი და ღმერთია თრუმენის სამყაროში, რომელმაც ეს ყველაფერი იმისთვის შექმნა, რომ ადამიანების ცხოვრებაზე ზემოქმედება მოახდინოს და ამის საშუალებით, თავისი სურვილები დაიკმაყოფილოს. ის ფილმში ყოველთვის ზემოთ დგას და ბოლო სცენაში თრუმენს ციდან ელაპარაკება, რაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქრისტოფი - ქრისტეს მეტაფორაა და ეს სახელიც არ არის შემთხვევითი. მისი მხრიდან გემის ჩაძირვის მცდელობა, არაერთ უძველეს მითსა და ლეგენდაში გვხვდება. ის ყველაზე ძლევამოსილი არსებაა, რომელსაც ამინდის კონტროლიც კი შეუძლია და ყველაფერს აკეთებს, რომ უბრალო ადამიანს მიზნების მიღწევაში ხელი შეუშალოს. მიუხედავად ამისა, ის მაინც ზრუნავს თრუმენზე და შეიძლება ითქვას, მამობრივი მზრუნველობაც კი აქვს მის მიმართ. ამის დასტურია, თუ როგორ ელაპარაკება ბოლოს, თუ როგორ ნაზად ეხება ეკრანს, როდესაც თრუმენს სძინავს. მას გულწრფელად სჯერა, რომ მისი საქმიანობა მილიონობით ადამიანს შთააგონებს და იმედს აძლევს.

"თრუმენის შოუ" ბევრ კითხვას უჩენს მაყურებელს და გვაფიქრებს თუ რამხელა გავლენა აქვს მედიას საზოგადოებაზე. ნუთუ ჩვენც ვიღაც ან რაღაც გვმართავს? ჩვენი ცხოვრებაც სიყალბეა? მედია ჩვენით მანიპულირებს და რასაც ვხედავთ, არაფერია 100%-ით ნამდვილი. რატომ არის თრუმენის სამყაროში ტურისტული სააგენტო, თუ ის მხოლოდ ერთ გადასაღებ მოედანზე ცხოვრობს და რეალურად არსად წასვლა შეუძლია? იმიტომ, რომ მაყურებელს დამაჯერებლობა სჭირდება. მათ სურთ თავიანთ ტყუილებს გაექცნენ და ისეთი ადამიანის ცხოვრებას შეაფარონ თავი, რომელიც არ იტყუება.

კედელი, რომელსაც თრუმენი ფილმის ბოლოს ეჯახება, დაბრკოლების მეტაფორაა. ფილმის მთავარი გმირი გამოკეტილია სამყაროში, რომელიც უზარმაზარი კედლით არის შემოსაზღვრული, თუმცა გამოსავალი მაინც არსებობს და ეს ის შავი მართკუთხედია, რომელშიც თრუმენი შედის. რეალურად ეს გვირაბია, თუმცა მის ბოლოს სინათლე არ ჩანს, რაც საერთოდ არ გვაფიქრებინებს, რომ თრუმენი უკეთეს რეალობაში გადავიდა და როგორც იქნა, თავისუფლება მოიპოვა. მიუხედავად ამისა, ის მაინც გამარჯვებულია, რადგან მიზნის მისაღწევად ყველაფერი გააკეთა, "გაანგრია კედელი" და ცხოვრებაში ერთხელ მაინც მოიქცა ისე, როგორც თავად სურდა.

D66 Internationaal IDI International Democratic Initiative

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მედია და მასზე დამოკიდებული საზოგადოება, რომელიც თავისი ცხოვრების დიდ ნაწილს ტელევიზორის ყურებას უთმობს და მთელ დროს ფლანგავს. ტრაგიკულია იმის გააზრება, რომ ადამიანები მთელ სიცოცხლეს სხვის დაკვირვებაში ატარებენ და საკუთარი ცხოვრების განსავითარებლად არაფერს აკეთებენ, გაურბიან სინამდვილეს და ერიდებიან სიმართლისთვის თვალებში ჩახედვას. ეს ჩვენს რეალობაშიც ასეა, უბრალოდ უკეთ ვიაზრებთ, როცა ამ ყველაფერს გვერდიდან ვუყურებთ. ძალიან საინტერესოა იმ მსახიობების ცხოვრებაც, რომლებიც "ტრუმენის შოუში" მონაწილეობენ. ისინი ფულისა და პოპულარობის გამო, თითოეულ დღეს სიყალბეში ატარებენ. ამის ნათელი მაგალითია ტრუმენის ცოლი მერილი, რომელმაც ფაქტობრივად, მთელი ცხოვრება დათმო. მისი საქმიანობა ჩვეულებრივ პროსტიტუციასაც შეიძლება შევადაროთ, რადგან ის ცხოვრობს ტრუმენთან და კონტრაქტის თანახმად, მასთან ყოველი ინტიმური კონტაქტის შემდეგ, ბონუსებს იღებს. ფილმში ჩანს, რომ მერილი ვეღარ იტანს თავის "ქმარს" და სძულს მასთან ერთად მუშაობა, მაგრამ ის ამას მაინც აკეთებს, თითქოს მიჯაჭვულია და სხვა გზა არ აქვს.

ტრუმენის ცხოვრებას აკონტროლებენ, თუმცა ასევე, კონტროლდება მისი გრძნობები და ემოციებიც. რეჟისორმა გადაწყვიტა მისთვის კუნძულის დატოვებაზე ფიქრი დაევიწყებინა მასში შიშისა და ღელვის გასაღვივებლად კი მამამისი "ოკეანეში დაახრჩო", სწორედ აქედან გაუჩნდა მას წყლის ფობია. თითქოს ყველაფერი ახსენებს, რომ მოგზაურობა სახიფათოა. ეს გარკვეულწილად, ჩვენი ცხოვრების ალეგორიაა, რადგან ჩვენი შიშები, ემოციები და ქცევებიც მედიის მიერ კონტროლდება, რასაც ხშირად ვერც ვიაზრებთ. მართალია, ეს ასე დრამატულად არ ხდება, როგორც ტრუმენის ცხოვრებაში, თუმცა დაფიქრებად ღირს.

ტრუმენის ოცნებაა წავიდეს ფიჯიზე, სადაც თავის ნამდვილ სიყვარულს, სილვიას შეხვდება. ამ შემთხვევაში, ფიჯი არის ოცნების, თავისუფლებისა და გადარჩენის სიმბოლო. ფილმში ასევე ხშირად ჩანს სილვიას თვალები, რაც ბიბლიურად სულიერების ამსახველია - "სხეულის ლამპარი თვალია; ჰოდა, თუ შენი თვალი სუფთაა, მთელი შენი სხეულიც განათებული იქნება". ხოლო ბიბლიოთეკა, სადაც ტრუმენს გოგონა შეუყვარდება, კეთილისა და ბოროტის შეცნობის სიმბოლოა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ის ერთადერთი ადგილია სიჰევენში, სადაც წიგნები გვხვდება.

სიმბოლოებით განსაკუთრებით დატვირთულია ფილმის ბოლო ნაწილი, სადაც ვხვდებით: ზღვას, კიბეს, კედელს, გემს, ცას... ზღვა, როგორც თავისუფლების, ასევე შეზღუდულობის სიმბოლოც შეიძლება იყოს. ის იმდენად ვრცელი და დიდია, რომ მის წინაშე უუნარო ხდები, ვერ ეწინააღმდეგები ტალღებს (რაც სიძლიერეს აღნიშნავს), თუმცა, მეორე მხრივ, ზღვა არის გაქცევის, თავისუფლების, აღმოჩენების გზა, რაც ყოველთვის იყო ტრუმენის ოცნება, რომელზეც საბოლოოდ, ვერავინ და ვერაფერმა ათქმევინა უარი. კიბე სიმბოლურად დედამიწისა და სამოთხის დამაკავშირებელია, მას ბიბლიაშიც ვხვდებით (იაკობის კიბე). ის ასევე, შეიძლება აღვიქვათ, როგორც წინსვლისა და პროგრესის ნიშანი. ცა სიმშვიდის, თავისუფლების სიმბოლოა, თუმცა ტრუმენის სამყაროში ის ხელოვნურია, ანუ თავისუფლება კედლით არის შეზღუდული.

ეს ფილმი არის ჩვენ შესახებ. იმის შესახებ, თუ როგორ აკონტროლებს ჩვენს ცხოვრებას ღმერთი ან მედია. ყველას გვინდა კომფორტის ზონის დატოვება, კედლის განგრევა, მაგრამ ხშირად, ვერც ვხვდებით, რომ კედლით ვართ შემოსაზღვრულები და თავისუფალი ნება არ გაგვაჩნია. ჩვენ საკუთარ თავებს არაფრისმომცემ ინდუსტრიებზე ვყიდით, სადაც რეალობა ილუზიაა.



ვირჩევნი

მარიამ კაჭკაჭაშვილი

“როგორ დამთავრდება ეს ყველაფერი?” კითხვა, რომელიც ყოველ ჩვენგანს საკუთარი თავისთვის ერთხელ მაინც დაგვისვამს და კითხვა, რომლის პასუხის მოლოდინში წამები, წუთები, საათები და წლებიც კი გადის. სილვიას გულსაბნევზე ამოტვიფრული ეს სიტყვები, თითქოს არა მარტო ტრუმენს, არამედ ყველას საკუთარ ცხოვრებაზე გვაფიქრებს. იმ ცხოვრებაზე, რომელიც მოულოდნელობებით სავსეა. თუმცა, ჩვენ, ადამიანებს, თითქოს ყველანაირი სირთულე გვიზიდავს. მუდმივად თვალებს იქით არსებულ ცვლილებებს ვეძებთ და მათ აღმოსაჩენად ერთი შეხედვით მარტივ, მაგრამ ძნელად მისასვლელ გზას ვირჩევთ. ფიქრები, აზრები, ოცნებები, ემოციები, გრძნობები ხშირად ერთმანეთში გვერევა. თითქოს გვინდა, ჩვენთვის შექმნილი იდეალური სამყაროდან გავიქცეთ, ჩარჩოებს, საზღვრებს გავცდეთ და თავისუფლება შევიგრძნოთ. ზოგჯერ აღიარება გვიჭირს, მაგრამ გულის სიღრმეში ვიცით, რომ ყველა ამბავი დიდი ალბათობით თავისებური ტყუილია. ტყუილი, რომელშიც ვცხოვრობთ და არასდროს ვიცით, “როგორ დამთავრდება ეს ყველაფერი”.

ფილმი 1998 წელს გამოვიდა, მაგრამ 21-ე საუკუნეს საოცრად მოერგო. ჩვენ, ტექნოლოგიების ეპოქაში მცხოვრები ადამიანები, თითქოს ჩვენ ირგვლივ ასახულ სამყაროს ვხედავთ. ეკრანს მიღმა ის რეალობაა, რომელშიც დღეს ვიმყოფებით. ერთი შეხედვით ყველა დეტალი, სიტყვა თუ ქცევა ნამდვილია, მაგრამ ამავდროულად - ყალბი. ტრუმენის შოუ არის ერთ-ერთი ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ ახდენს ზეგავლენას მედია და რეკლამა ადამიანების ყოველდღიურ ყოფაზე. იმაზე, თუ რას ყიდულობენ ისინი, როგორ იქცევიან, რას ფიქრობენ, რა ამოძრავებთ, რაზე ოცნებობენ, რა სურთ და ყველაზე მთავარი, რა არის მათი მიზანი. ერთ-ერთი მეთოდი სოციუმის შეხედულებების შესაცვლელად და მათ გასაკონტროლებლად პროდუქტის სწორი განთავსებაა (პროდუცტ პლაცემენტ). პროდუქტის განთავსება კი ნიშნავს მის იმგვარად შეფუთვასა და ადამიანისთვის წარმოდგენას, რომ ამან ზუსტი და მყისიერი რეაქცია გამოიწვიოს.

ფილმი თავიდან ბოლომდე ერთი დიდი ტყუილია. ამ სიყალბესა და სიცრუეში კი ერთადერთი მართალი კაცი “true man”-ია. სწორედ ამას გვეუბნება მისი სახელიც. ტრუმენი ჩვეულებრივ, არავისგან გამორჩეული ცხოვრებით ცხოვრობს, თუმცა მისი ცხოვრება რეალითი შოუა, რომელსაც ძალიან ბევრი ადამიანი ადევნებს თვალს. ისინიც ტრუმენის ბედნიერების, ტკივილის, სიხარულისა თუ მწუხარების მოზიარენი არიან. ამ შოუს თავისი ღმერთი ჰყავს, სახელად ქრისტოფი. აშკარაა, რომ მის სახელს ქრისტესთან მივყავართ. ნათელია მისი სურვილიც, საკუთარი ხელით შექმნილ სამყაროში ქრისტეს როლი მოირგოს, აკონტროლოს ყველა და ყველაფერი, მაგრამ ვიცით კი რა მოხდება თუ - christ off?

ცალკე უნდა გამოვყოთ ის ადამიანები, რომლებიც ტრუმენის შოუს რეალური სამყაროდან უყურებენ. რაღაც მომენტში მაყურებელს უჩნდება სიბრალულის გრძნობა ტრუმენის მიმართ. ეს გასაკვირი არ არის, ის ხომ გამოკეტილია და ყალბ რეალობაში ცხოვრობს, მაგრამ ამავდროულად ვერცერთი მათგანი თავს ვერ ანებებს შოუს ყურებას. ტრუმენის ირგვლივაც ხომ ათასობით ადამიანი ცხოვრობს, მასთან ერთად არიან ყოველ დღე, მაგრამ ერთსაც არ უჩნდება იმის სურვილი, ეს ფარსი დაასრულოს. სამსახური მათთვის რეალურ ცხოვრებად იქცა და ამ შოუს გარეშე საკუთარი თავი ვერ წარმოუდგენიათ. მხოლოდ სილვიამ შეძლო ეჭვის მარცვალი დაეთესა ტრუმენში. ეცადა დაენახებინა, რომ ირგვლივ ყველა ატყუებდა. გაბედა ეთქვა, რომ სრულ სიყალბეში აცხოვრებდნენ. სილვია იყო პერსონაჟი, რომლის დავიწყება ტრუმენმა ვერ შეძლო. გულის სიღრმეში ყოველთვის ჰქონდა იმედი, რომ იპოვიდა.

ყველა დეტალი, რომელიც ტრუმენის ცხოვრებაში ხდება, მას კიდევ უფრო აშორებს რეალობისგან, მაგრამ ამავდროულად, იდეალური საშუალებაა სიცრუის გამოსააშკარავებლად. მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ გამოიყენებს ტრუმენი ამ დეტალებს და როგორ გადაწყვეტილებებს მიიღებს თავად. მისი ნაბიჯი პერსონაჟის გათავისუფლებისკენ ყველაზე მეტად ჩარჩოდან გაქცევის სურვილში მდგომარეობდა. ტრუმენისთვის საოცნებო ადგილი - ფიჯი და მასზე მოხვედრის ოცნება მთელი ფილმის განმავლობაში გამოკვეთილია. ამ სურვილს ყველა და ყველაფერი ეწინააღმდეგება. აქვე, მისი ცოლი წარმოდგენილია, როგორც ადამიანის მართვის მექანიზმი. ის ტრუმენის ყველა ქცევას აკონტროლებს, მართავს მას.

ყალბი სამყაროს ნგრევა სტუდიის კონსტრუქციის ნგრევით დაიწყო. ციდან ჩამოვარდნილი ნაწილი, არეული რადიო, ხელოვნური წვიმა სრულ იდილიას არღვევს. ტექნიკურმა შეცდომებმა მთავარ გმირს სხვაგვარი ფიქრის საბაბი გაუჩინა. ამის შემდგომ მის ყოველდღიურობაში ცვლილებები დაიწყო. ტრუმენის ოფისს მბრუნავი კარები აქვს, ეს კი ერთ-ერთი ძლიერი სიმბოლოა, რომელიც ცხოვრების ერთგვარობასთან იგივდება. ტრუმენს ყოველდღე უწევს ამ კარების გავლა და სწორედ ასევე გადის იგი საკუთარ ერთფეროვან ცხოვრებასაც. ერთხელაც იგი უარს იტყვის ამ კარებით სარგებლობაზე და ეს გახდება სიმბოლო იმისა, რომ მან სხვანაირი ცხოვრება აირჩია. შეცვალა საკუთარი გზა და ამ მომენტიდან იწყება ცვლილებების ნაკადი, რომელიც დომინოს ეფექტით მიეწყობა ერთმანეთს. ეს ყველაფერი მიგვანიშნებს სწორი გადაწყვეტილების შემდგომ გამოწვეულ ცვლილებებზე, რომლებიც ადამიანის ცხოვრებაშია.

ტრუმენს ზღვის ეშინია. ეს შიში მამის დაკარგვის შემდგომ გაუჩნდა. ერთ დღეს კი ქუჩაში დაინახავს ადამიანს, რომელიც მამამისს ძალიან ჰგავს და ეს მიანიშნებს იმაზე, რომ მას არ აქვს საფუძველი ეშინოდეს ზღვის. ზღვა ხომ ყველაზე ძლიერი სიმბოლოა და ის ერთადერთი საშუალებაა, რამაც შესაძლებელია ტრუმენს თავისუფლება მოუტანოს. როდესაც წასვლას გადაწყვეტს, ყველანაირი გზა ამოიკეტება, გარდა ზღვისა. იგი დაძლევს შიშს და საკუთარი მიზნისკენ სწრაფვას განაგრძობს. ხელის გაწვდენა და ცის მაგივრად კედელთან შეხება გამოღვიძებას ჰგავდა. კიბის თითოეული საფეხურის გავლის შემდგომ ცხოვრების ახალ ეტაპს ერთი ნაბიჯით უახლოვდებოდა. საბოლოოდ, ეს კიბე თავისუფლების დასაპყრობი მწვერვალი გახდა. ტრუმენმა არჩევანი გააკეთა, მიუხედავად იმისა, რომ არ იცოდა რა ელოდა კარს მიღმა. სამაგიეროდ იცოდა, რომ საკუთარი ცხოვრება თავად უნდა განეკარგა და ეს ფარსი დაესრულებინა. იცოდა, რომ თავისუფალი უნდა ყოფილიყო და დასახულ მიზნამდე მიეღწია.

პიტერ უირის "ტრუმენის შოუ" მთავარ კითხვას გვიტოვებს: სად გადის ზღვარი რეალობასა და ჩვენთვის ხელოვნურად შექმნილ, მოგონილ სამყაროს შორის? ტრუმენ ბურბანკმა არჩევანი სიმართლისა და თავისუფლების სასარგებლოდ გააკეთა, რაც მან რუტინის დაძლევისა და ღრმად გამჯდარი შიშების გადალახვით შეძლო. ამ გზით, მთავარმა გმირმა თავის ცხოვრებაზე კონტროლი მოიპოვა. ვფიქრობ, ჩვენ, ჟურნალისტები, ამ არჩევანს - არჩევანს კომფორტსა და სიმართლეს შორის - არა მხოლოდ მაყურებელს, არამედ საკუთარ თავსაც ყოველდღიურად ვთავაზობთ.

ნატალია პატარკაცაშვილი

1998 წელს პიტერ უირის მიერ შექმნილი მხატრული ფილმი "ტრუმენის შოუ" ხელოვნურად შექმნილ სამყაროში, ქალაქში მცხოვრებ მამაკაცზე გვიყვება, რომელსაც წარმოდგენა არ აქვს, რომ მისი ცხოვრების ყოველ წამს მილიონობით ადამიანი ადევნებს თვალს დამალული კამერების საშუალებით, თუმცა, მალე ტრუმენი ყველა შიშის დაძლევითა და "გამოღვიძებით" თავს აღწევს წარმოსახვით, შექმნილ, მარკეტინგზე მორგებულ სამყაროს და რეალობაში აბიჯებს.

"ტრუმენის შოუზე" საუბრისას უმნიშვნელოვანესია იმ სიმბოლოების, ინდექსებისა თუ ნიშან-ხატების გამოყოფა, რომლებიც მთელს ფილმს ერთ მთლიანობად აქცევს. მხატრული ფილმი არა ირეალურ, არამედ სრულიად რეალურ ცხოვრებას ასახავს, ყველა შიშით, ემოციით, სიმბოლოთი და ბრძოლის გზით.

ფილმის რეალური დასაწყისი, ისევე როგორც დასასრული, ტრუმენის მიერ წარმოთქმული სიტყვებია: "დილამშვიდობისა, და დღეს თუ ვეღარ გნახეთ, მაშინ შუადღემშვიდობისა და ღამემშვიდობისა", ეს სიტყვები სიმბოლოა იმ რუტინისა, რომელსაც ტრუმენი თითქმის 30 წლის განმავლობაში მიჰყვებოდა.

სიმბოლური და ირონიულია თავად ტრუმენის სახელი და გვარიც -ტრუემან ბურბანკ. სახელი - "ნამდვილი კაცი" (ადამიანი) true man და გვარი - burbank - სახელი კალიფორნიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კინოინდუსტრიის ქალაქისა. რუტინაზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს ტრუმენის სამსახურის მოძრავი კარი, რომელიც რაც არ უნდა მოხდეს, სულ ერთი მიმართულებით და სულ ერთი ხაზით მოძრაობს, სწორედ ეს კარია სიმბოლო ცხოვრებისა, რომელიც ,ყველაფრის მიუხედავად, არ ჩერდება და იგივე მიმართულებით აგრძელებს ტრიალსა და მოძრაობას, სიმბოლო ჩაკეტილი წრისა. ერთ დღესაც ტრუმენი ამ კარში აღარ შედის, ეს კი ნიშანია რუტინის წინააღმდეგ წასვლისა და გმირის "გამოღვიძების".

ტრუმენის მამა, რომელიც წყალში "დაიხრჩო" 22 წლის შემდეგ მოულოდნელად, ცოცხალი აღმოჩნდა. თუ მანამდე ტრუმენს წყალში შესვლა, მისი გადაცურვა ან უბრალოდ წყალზე/ხიდზე გადასვლა შეუძლებად მიაჩნდა, ეს მხოლოდ და მხოლოდ იმ "ტრაგიკული" შემთხვევის ბრალი იყო, რომელიც კარგად გაწერილი სცენარის მიხედვით შესრულდა, თუმცა, მამის "გაცოცხლების" შემდეგ, ტრუმენმა შიში დაძლია: თუ სიკვდილი არაა გადაულახავი, შეიძლება წყალი იყოს დაბრკოლება? ფილმში სწორედ ეს წყალი, ზღვაა ერთ-ერთი მთავარი სიმბოლო, რომელიც ფილმის პირველ ნაწილში პატიმრობას, მეორე ნაწილში კი თავისუფლებას წარმოადგენს, რადგან სწორედ ის იხსნის ტრუმანს პატიმრობისგან, რისიც ყველაზე მეტად ეშინოდა და ამ შიშის დაძლევით პოულობს საკუთარ თავს და, შესაბამისად, საკუთარ რეალობას.

"ტრუმენის შოუ" ისეთი პატარა დეტალებითაა აგებული, როგორიც მის მიერ საყვარელი ქალის, სილვიას სახე - ჟურნალებიდან ამოხეული სახის ნაწილების ფოტოებით. ერთადერთი, რაც მას "მოგზაურობაში" მიაქვს, სწორედ ეს "აწყობილი სახეა", როგორც იდეა და მიზანი.

ფილმის განსაკუთრებული მომენტი, რომელიც მრავალი სიმბოლოთია დატვირთული ბოლო, ფინალური სცენაა, როდესაც ტრუმენი საბოლოოდ აღწევს თავს კამერებს და ყველაზე დიდ შიშს - ზღვას იყენებს თავის დასაღწევად. პატარა ხომალდის სახელი, რომლითაც ის ზღვის გადაცურვას ცდილობს, "სანტა მარიაა", კრისტოფერ კოლუმბის ერთ-ერთი გემის მსგავსად, რომლითაც მან "ახალი სამყარო აღმოაჩინა". სწორედ ახალი სამყაროს სიმბოლოა ტრუმენის გემი, რომელმაც ის რეალურ სამყაროში უნდა წაიყვანოს და მისთვის სრულიად უცნობი, მაგრამ ძალიან სასურველი რეალობა აღმოაჩენინოს.

ჭავჭავაძის ცენტრი
ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული კვლევებისა და სამოქალაქო განათლების ცენტრი



ძლიერი წვიმა, ქარიშხალი და შტორმი ევლინება "რისხვად" თრუმენს მისი "შემოქმედისგან", ქრისტოფისგან. ყველა შიშისა და დაბრკოლების გადალახვის შემდეგ კი, მას მეორედ დაბადების შანსი ეძლევა. წარმოსახვითი ცაც კი ის ბარიერია, რომელიც უნდა დაამსხვრიოს თრუმენმა, ხელოვნური კედელი სიმბოლოა დაბრკოლებისა, რომელიც თრუმენს რეალური სამყაროსგან აშორებს, ესაა გამოსახულება იმ ჩაკეტილი სივრცისა, ნაჭუჭისა, რომელში მოქცეული თრუმენიც ყველასთან ერთად, მაგრამ ამავე დროს, სრულიად მარტო ცხოვრობს.

ფილმის ბოლო რამდენიმე წუთი, როდესაც ქრისტოფი, რეჟისორი, თრუმენს პირველად ელაპარაკება ყველაზე ამაღელვებელია. ქრისტოფი თავისი არსებობით სიმბოლოა ღმერთისა, რომელიც , "ზეციდან" მიმართავს საკუთარ "პირმშოს" და კარნახობს თუ რა და როგორ უნდა გააკეთოს. ქრისტოფის სახელიც სიმბოლურია - christ - christof. თრუმენი საკუთარ შოუს იმავე სიტყვებით ასრულებს რა სიტყვებითაც იწყებს, "good afternoon, good evening, and good night" - თავს უხრის და ემშვიდობება არა მხოლოდ რეჟისორს, არამედ მაყურებელსაც და გადის იმ სცენიდან, რომელზეც თითქმის 30 წელი იდგა, აბიჯებს სიბნელეში, რომელიც სიმბოლოა უცხოსი და შეუცნობელის, რომელიც თრუმენისთვის იმაზე უფრო ნათელია, ვიდრე ხელოვნური მზით განათებული კუნძული. კარი წარწერით "exit" თრუმენისთვის ახალი რეალობის დასაწყისია.

ფილმის რიტორიკული ანალიზის დროს მნიშვნელოვანია ფილმის, როგორც ერთი მთლიანობის აღქმა, რადგან ყველა დეტალი ერთმანეთთანაა დაკავშირებული, კერძოდ, ფილმის ეთოსი სწორედ შოუს შემქმნელს ქრისტოფს, სიმბოლურად ღმერთს ეკუთვნის, როგორც მაყურებლისგან მინიჭებული უფლება, რომელიც სრული დამაჯერებლობით აკონტროლებს თრუმენს, როგორც საკუთარი ხელით ედემის ბაღში გამომწყვდეულ ადამს/ევას. სწორედ ედემის ბაღად უხატავს ქრისტოფი თრუმანს იმ კუნძულს, რომელიც მისთვის და მისი "კეთილდღეობისთვის" შექმნა. ამდენად, ქრისტოფის მთავარი ფუნქცია სწორედ ღმერთის როლში ყოფნა და ამ როლის დამაჯერებლობაა, მაშინ როდესაც თრუმენის ქცევაში გამოვლენილი ეთოსი მისი რეალურობა, მხიარული ბუნებაა, რომლის ყურებაც მრავალმილიონ ადამიანს სიამოვნებს. მაყურებელში მოლოდინი ღვივდება და ფილმის პათოსი ვლინდება მაშინ, როცა თრუმენი თავისუფლებას ირჩევს. ესაა ბრძოლა, რომელიც თრუმენს უპირველსად საკუთარ თავთან, შემდეგ კი მთელ გამოგონილ სამყაროსთან და ამ სამყაროს ღმერთთან აქვს, სწორედ ამ დროს მყარდება ძალიან ძლიერი ემოციური კავშირი თრუმენსა და მაყურებელს შორის. ასაკის, პროფესიისა თუ ეროვნების განურჩევლად მაყურებელი თანაგრძნობით იზიარებს თრუმენის გამარჯვებას და ამ გამარჯვებას, როგორც საკუთარ გამარჯვებას ისე აღნიშნავს, რამდენადაც ყოველი სტრესი, ბედნიერება, ტკივილი თუ გამარჯვება, რომელსაც თრუმენი განიცდიდა თითქმის 30 წელი, ძალიან ნაცნობია მაყურებლისთვის არა მხოლოდ ფილმში, არამედ ფილმს გარეთაც. ამდენად ესაა ორმაგი გამარჯვება - ინდივიდის და ინდივიდთან ერთად, სრულიად საზოგადოების ეკრანს გაღმა და გამოღმა. ამასთან ერთად, მაყურებელი ნანახისა და განცდილის შემდეგ საკუთარ თავთან გადის იგივე ბრძოლას და თრუმანის ადგილას წარმოიდგენს თავს, რაც კიდევ უფრო ამყარებს კავშირს მაყურებელსა და გმირს შორის.

როგორ ლაპარაკობ იმ ყველაფერზე?

ნინო გერაძე

 გქონიათ თუ არა ისეთი შეგრძნება, თითქოს სხვა ადამიანი ფლობს თქვენს სხეულს? სხვა პიროვნება ხართ, თუმცა გარემოსთან ადაპტირებას სულ სხვა ადამიანივით ახერხებთ? ფიქრობთ ერთს და ლაპარაკობთ მეორეს. წარმოიდგენთ ერთს და აკეთებთ მეორეს. დაფიქრებულხართ, რატომ?

 მაშინ, როდესაც თრუმენი სიყალბის სუნს იგრძნობს, უმალ ეცდება თავის დაძვრენას და საკუთარი თავის პოვნას. ვფიქრობ, რეჟისორის ჩანაფიქრია მიგვანიშნოს, რომ როცა შენი სურვილების და მიზნების ასრულებას იწყებ, ცხოვრებისეული გამოწვევები მაშინ იჩენს თავს, უამრავ დაბრკოლებას გადააწყდები და არჩევანი შენზეა: ან დანებდები, ან წინ გააგრძელებ სვლას. საკუთარი თავის მაძიებელი თრუმენი ცდილობს გაექცეს საზოგადოებას, რომელიც მას აკონტროლებს. ტელეშოუს შემქმნელები, მაყურებლები, მსახიობებიც იმ ადამიანებს განასახიერებენ, რომლებსაც დაავიწყდათ თავისუფლების სუნი და რაღაცაზე დამოკიდებულები ხდებიან. თრუმენი არ ჰგავს სხვებს თავისი შიშებით, მიზნებითა და წარმოდგენებით. თქვა "არა" დიდ გამბედაობას მოითხოვს და ამას ვერ შეძლებენ სხვაზე დამოკიდებული ადამიანები. ეს მხოლოდ მართალ ადამიანებს შეუძლიათ.

D66 Internationaal IDI International Democratic Initiative

საინტერესოა, რა არის მოტივი და მამოძრავებელი ძალა თრუმენის გამოფხიზლებისა? პირველ რიგში, ესაა მიზანი და შემდეგ ესაა ქალი, მისნაირი და მისიანი. მნიშვნელოვანია თუნდაც ერთი ადამიანი აზროვნებდეს შენს მსგავსად, ადამიანს ეძლევა იმედი, ძალა, რომ ის ამ ომში მარტო არ არის, რომ მას ჰყავს მხარდამჭერი. ისინი ერთად შეაღებენ კარს, სადაც ზღურბლი ჯერ კიდევ არ მოჩანს, თუმცა ცდად ნამდვილად ღირს. გოგონას საკინძეზე წარწერა - "როგორ დამთავრდება ეს ყველაფერი?" ფილმის ლაიტმოტივია და მართლაც, არავინ იცის რა ხდება მაშინ, როცა წინააღმდეგობის პირველ ნაბიჯებს დგამ. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ თავად მაყურებელი ტრუმენის წინააღმდეგობის შემდეგ ხდება ადამიანის, როგორც თავად პიროვნების, ინდივიდუალიზმის გულშემატკივარი.

"სამყაროში, რომელიც შენთვის შევქმენი, იმაზე მეტი სიმართლეა, ვიდრე იქ, რაც აქ, სამყაროს მიღმაა. ჩემს სამყაროში შენ ბევრად უფრო დაცული ხარ, მე შენ ძალიან კარგად გიცნობ" - შოუმენის ეს სიტყვები არაფერია თუ არა მანიპულაცია. კამერა კი, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში ტრუმენის მეთვალყურე იყო, წარმოადგენს ადამიანების ზედმეტად ცნობისმოყვარე ბუნებას.

The Truman Show

2020

თბილისი